საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ილია დარჩიაშვილს

რეკომენდაცია

განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ილია,

2021 წლის 1 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს გ. გ.-მ მომართა განცხადებით (N11659/21), რომლითაც მიუთითებს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი განსხვავებული შეხედულების გამო. განმცხადებლის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველოს“ იურისტი თ. ზ-ი.

საქმის შესწავლის ფარგლებში, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განცხადების თანახმად, გ. გ.-ს აქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 20 წელზე მეტი ვადით უწყვეტად მუშაობის გამოცდილება. განმცხადებელს 2017 წლის 17 ივლისს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის უმაღლესი დიპლომატიური რანგი და ამავე წელს დანიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახდა. მის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა.

განმცხადებელის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2021 წლის 15 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრის N01/2-2 ბრძანების შესაბამისად, სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოიწვიეს დიპლომატიური მისიიდან და 2021 წლის პირველი მარტიდან ჩარიცხეს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური სამსახურის რეზერვში. ამასთანავე, რეზერვში ჩარიცხვიდან დღემდე სამინისტროს არ შეუთავაზებია ალტერნატიულ პოზიციაზე დასაქმება.

განმცხადებლის განმარტებით, რეზერვში ჩარიცხვა და დღემდე სხვა ალტერნატიული პოზიციის შეუთავაზებლობა უკავშირდება 2020 წლის 7 ოქტომბერს „ფეისბუქზე“

გამოქვეყნებულ სტატუსს, რომლითაც მან საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის საქმეზე დაკავებულ ივერი მელაშვილს მხარდაჭერა გამოუცხადა.

„სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ივერი მელაშვილს, რომელსაც პირადად ვიცნობ 1997 წლიდან და მიმაჩნია, რომ ის არის საკუთარი ქვეყნის, საქართველოს გამორჩეული პატრიოტი, ჩვენი სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის პროფესიონალი და შეუცვლელი ექსპერტი. წარდგენილი ბრალდება იმდენად აბსურდული და საღ აზრს მოკლებულია, რომ ამაზე კომენტარის გაკეთებაც მიჭირს. იმედს ვიტოვებ, რომ ეს დაწყებული გამოძიება ყველა არსებულ კითხვას ამომწურავ პასუხს გასცემს და სრულიად უდანაშაულო, თავის ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანი მალევე გათავისუფლდება“.

აღნიშნული განცხადების გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან[1], მათ შორის, იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის - *დავით ზალკალიანის* მიერ გაკეთდა კრიტიკული შეფასება. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიერ მმართველი პარტიის პოზიციისგან საპირისპირო განცხადების გაკეთება დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველი გახდა.

1.2. მოპასუხის პოზიცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 22 ნოემბრის წერილში აღნიშნულია, რომ პირის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტზე მსჯელობა უნდა დაიწყოს, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც **კანონით გათვალისწინებული უფლების სარგებლობისას პირს ეზღუდება თანასწორად სარგებლობის** უფლება დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის გამო. შესაბამისად, ბუნდოვანია, თუ რომელი თანასწორად სარგებლობის უფლების შეზღუდვაზე მიუთითებს განმცხადებელი.

წერილის თანახმად, დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების თითოეული ვადა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისათვის და გენერალური კონსულისთვის არის 4 წელი.[2] შესაბამისად, განმცხადებელი გამოწვეულ იქნა სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო 2021 წლის 1 მარტიდან და ამავე ბრძანებით ჩაირიცხა დიპლომატიური სამსახურის რეზერვში. ამასთანავე, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის

---

[1] *<u>მაგალითად,</u>* **2020 წლის 8 ოქტომბერი** ირაკლი კობახიძის განცხადება - *„ეს ალბათ გადასამოწმებელია, მაგრამ როდესაც ელჩი ასეთ განცხადებას აკეთებს, ბუნებრივია, მინიმუმ უნდა იყოს ჯერ მისი მხრიდან ფაქტები გადამოწმებული და მეორე - კომუნიკაცია უნდა შედგეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. ეს ყველაფერი, როგორც ვიცით, არ გაკეთებულა, აქედან გამომდინარე, უხეშად დაირღვა დიპლომატიური საქმიანობის სტანდარტები“.* **2020 წლის 8 ოქტომბერი** დავით ზალკალიანის განცხადება: *„როცა ელჩი აკეთებს განცხადებას, მითუმეტეს უაღრესად მგრძნობიარე თემაზე, მას უნდა დაერეკა და ეკითხა ჩვენთვის“.* **2021 წლის 15 მარტი** გია ვოლსკის ინტერვიუ: *„შეიძლება კიდევ სხვა გარემოებები არსებობდა და პოლიტიკური განცხადება იმიტომ გააკეთა.....ყურადღება მივაქციოთ იმას, რას წარმოადგენს დიპლომატი და უნდა წარმოადგენდეს თუ არა რომელიმე პოლიტიკური მხარის პოზიციას“.* საკითხის მიმართ მაღალ ინტერესზე მიუთითებდა, მაგალითად, **2020 წლის 16 ოქტომბრის** იმ დროისთვის საქართველოს თავდაცვის მინისტრის - ირაკლი ღარიბაშვილის ინტერვიუ ტელეკომპანია „იმედზე“; ასევე, **2021 წლის 12 იანვრის** ბიძინა ივანიშვილის მადლობა რუკების მოძიებისათვის ბიზნესმენ დავით ხიდაშელისთვის

[2] ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი

პირველი პუნქტის შესაბამისად, მინისტრი უფლებამოსილია საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს გაუგრძელოს 1 წლამდე ვადით.[3]

მოპასუხის აღნიშვნით, იმ უმაღლეს დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურა, რომელიც გ. გ.-ს ეკავა, დადგენილია „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით. კერძოდ, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოს მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.[4]

სამინისტროს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ გ. გ. ირიცხება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში, მისი კვალიფიკაციის ტოლფას თანამდებობებზე, სხვა შესაბამის კანდიდატებთან ერთად მოხდება მისი კანდიდატურის განხილვა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისთვის შეთავაზება.

ამასთანავე, სახალხო დამცველის შეკითხვაზე 2021 წლის 1 მარტიდან - დღემდე რამდენ შემთხვევაში გამოცხადდა ვაკანსია უშუალოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოზიციაზე, სამინისტრომ მიუთითა, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თანამდებობაზე ინიშნება უკონკურსოდ.[5] ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე არ ცხადდება ღია კონკურსი. პირის აღნიშნულ პოზიციაზე წარდგენა და დანიშვნა ხდება საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პრეზიდენტს შორის კონსულტაციებისა და შეთანხმების შედეგად.

მოპასუხემ განმარტა, რომ 2021 წლის 1 მარტიდან-დღემდე[6] საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებიდან და საკონსულო დაწესებულებებიდან გამოწვეულია და დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ჩარიცხულია 84 პირი. აქედან 11 პირს განმცხადებლის მსგავსად, ეკავა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოზიცია. საანგარიშო პერიოდში რეზერვიდან ამოირიცხა და როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოზიციაზე წარიგზავნა მხოლოდ ერთი პირი. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიპლომატიური სამსახურის რეზერვში, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გამოწვევის შედეგად, დამატებით ირიცხება (2021 წლის 1 მარტამდე ჩარიცხული) 18 პირი.[7]

საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 3 თებერვლის პასუხით კი სამინისტრომ მოგვაწოდა მონაცემები, რომ დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ჩარიცხული 84 პირიდან, 12 უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირი იყო, რომელთაგან 5 პირისათვის

[3] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 24 მარტის პასუხი N01/8879

[4] ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები

[5] „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი „ე" ქვეპუნქტი

[6] **შენიშვნა**: იგულისხმება 2021 წლის 22 ნოემბრამდე პერიოდი

[7] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 22 ნოემბრის პასუხი №01/32184

შეთავაზებულ იქნა სხვა თანამდებობა სამინისტროს სისტემის მასშტაბით.

სამინისტროს განმარტებით, დიპლომატიური სამსახურის რეზერვში 84 პირის ჩარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა: 67 შემთხვევაში - როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვევა და გათავისუფლება; 15 შემთხვევაში - როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან ვადაზე ადრე გამოწვევა და გათავისუფლება; 2 შემთხვევაში - რეორგანიზაციის გამო პირის თანამდებობიდან გათავისუფლება.[8]

დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ჩარიცხული 84 პირიდან, თანამდებობა შესთავაზეს 52 პირს ამათგან თანამდებობაზე დაინიშნა 51 პირი. ვაკანტური თანამდებობების შეთავაზება და შემდგომში მათი დანიშვნა სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებისა და/ან შიდა შერჩევების ფარგლებში შესაბამისი რეკომენდაციებისა და კანდიდატებთან გასაუბრების საფუძველზე მიიღებოდა.[9] დანიშნული 51 პირის თანამდებობების განაწილება იერარქიული რანგების მიხედვით ასე გამოიყურება: პირველი რანგი - 6; მეორე რანგი - 35; მესამე რანგი - 10.[10]

რაც შეეხება, 2021 წლის მარტიდან დეკემბრამდე ვაკანტური თანამდებობების რაოდენობას, სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში ვაკანტური დიპლომატიური თანამდებობა აღნიშნული პერიოდის დასაწყისში იყო 51 ერთეული, ხოლო ბოლოს კი - 46 ერთეული.[11] 24 მარტის კორესპონდენციით კი სამინისტრომ განმარტა, რომ 2021 წლის მარტიდან დეკემბრამდე სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში ვაკანტური თანამდებობა (დიპლომატიური და არადიპლომატიური ერთად) აღნიშნული პერიოდის დასაწყისში იყო 62 ერთეული, ხოლო ბოლოს კი - 58 ერთეული.[12]

ზემოაღნიშნული ვაკანტური თანამდებობების განაწილება იერარქიული რანგების მიხედვით ასე გამოიყურება:

62 ერთეული (პირველი რანგი - 10, მეორე რანგი - 22, მესამე რანგი - 18, მეოთხე რანგი - 12);

58 ერთეული (პირველი რანგი - 11, მეორე რანგი - 20, მესამე რანგი - 18, მეოთხე რანგი - 9).

უნდა აღინიშნოს, რომ როტაციის ფარგლებში, როცა სამინისტროს, დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირები ერთმანეთს ენაცვლება, ვაკანტური თანამდებობების რაოდენობა არის ცვლადი და მოპასუხის მითითებით, აღნიშნულის გამო გვაწვდის პერიოდის დასაწყისში და ბოლოს არსებული ვაკანსიების რაოდენობას.[13]

---

[8] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 3 თებერვლის პასუხი №01/3025
[9] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 3 თებერვლის პასუხი №01/3025
[10] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 24 მარტის პასუხი N01/8879
[11] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 3 თებერვლის პასუხი №01/3025
[12] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 24 მარტის პასუხი N01/8879
[13] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 24 მარტის პასუხი N01/8879

სამინისტრო ასევე განმარტავს, რომ 2021 წლის 1 მარტიდან დეკემბრამდე საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შიდა შერჩევა გამოცხადდა 35 საშტატო ერთეულზე, 25 პირთან მიმართებით დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს. 2021 წლის 1 მარტიდან დეკემბრამდე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში გამოცხადდა შიდა შერჩევა 49 საშტატო ერთეულზე, 44 პირთან მიმართებით კი დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს.[14]

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის როტაციის ფარგლებში, შიდა შერჩევების შედეგების და/ან სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ცენტრალური აპარატიდან რიგი თანამშრომლები გადაიყვანეს საზღვარგარეთ დიპლომატიურ პოზიციებზე და როტაციიდან დაბრუნებული რიგი თანამშრომლების დანიშნეს ცენტრალურ აპარატში.

ამასთანავე, 2021 წლის ოქტომბერში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებად დაინიშნა და შესაბამისად 5 ქვეყანაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარიგზავნა ხუთი პირი. ეს ქვეყნებია: 1. ნიდერლანდების სამეფო; 2. პოლონეთის რესპუბლიკა; 3. უკრაინა; 4. შვედეთის სამეფო; 5. მექსიკის შეერთებული შტატები.[15]

მოპასუხე ასევე განმარტავს, რომ 2021 წელს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოზიციაზე მყოფ 16 პირს გაუვიდა როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა, რომელთაგან 9 პირს გაუგრძელდა როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა.[16] სახალხო დამცველის შეკითხვაზე 16-დან 7 პირი, რომელთაც არ გაუგრძელდათ სამუშაო მივლინების ვადა, რომელი ქვეყნების დიმპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობდნენ და შეეთავაზათ თუ არა მათ სხვა პოზიციაზე (გარდა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოზიცია) დასაქმება, სამინისტრომ განმარტა, რომ 2021 წელს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოზიციიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვეული 7 პირიდან, დამატებითი ვადა არ ჰქონდა გაგრძელებული 2 პირს, რომელთაც დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისგან განსხვავებული პოზიცია არ შეთავაზებიათ.[17]

აღსანიშნავია ისიც, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს, არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, არ წარმოაუდგენია ინფორმაცია, თუ რატომ არ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება განმცხადებელთან დიპლომატიური მისიის გაგრძელების თაობაზე. ასევე, სამინისტრომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია 16-დან 7 პირი, რომელთაც არ გაუგრძელდათ სამუშაო მივლინების ვადა, რომელი ქვეყნების დიმპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობდნენ.

დისკრიმინაციის მიმართულებით მოპასუხემ განმარტა, რომ სასურველ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ პირისათვის უარის თქმა, თავისთავად არ უნდა განიხილებოდეს დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტად, ვინაიდან, შესაბამის ვაკანსიაზე დანიშვნის

[14] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 3 თებერვლის პასუხი №01/3025
[15] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 24 მარტის პასუხი №01/8879
[16] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 3 თებერვლის პასუხი №01/3025
[17] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 24 მარტის პასუხი №01/8879

სურვილი/პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს იმაზე მეტ პირს, ვიდრე ვაკანსიაა. შესაბამისად, ერთ პოზიციაზე პირის დანიშვნის შემთხვევაში, რაც ლოგიკურად უკავშირდება სხვა პრეტედენტებისთვის დანიშვნაზე უარის თქმას, გამომდინარეობს, შესაბამის პერიოდში არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, სწორედ იმ ერთი პირის შერჩევის აუცილებლობას, რომელსაც მიიჩნევს ის პირი, ვისაც კანონმდებლობამ მისცა აღნიშნული დისკრეცია.

1.3. განმცხადებლის დამატებითი პოზიცია

2021 წლის 7 დეკემბერს განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა დამატებითი წერილობითი პოზიცია, რომელშიც არ ეთანხმება მოპასუხის განმარტებას და აღნიშნავს, რომ „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი მიმთითებელი ხასიათისაა, თუ როგორ შეიძლება დაინიშნოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. განმცხადებლის პოზიციით, ის, რომ უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირი სხვა თანამდებობაზე ვერ დაინიშნება, რადგან მას უმაღლესი რანგი აქვს, მსგავსს შინაარსს ხსენებული ნორმა არ მოიცავს.

განმცხადებელი განმარტავს, რომ 2021 წლის 1 მარტიდან ცალკეულ ქვეყნებში ელჩებად გამწესდნენ პირები, რომლებსაც არ აქვთ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის გამოცდილება. ამასთანავე, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ გაუგებარია, ვინ და რა კრიტერიუმებით ინიშნება ვაკანტურ პოზიციებზე და რატომ არ მოხდა მისი კანდიდატურის განხილვა მოცემულ თანამდებობაზე.

2022 წლის 28 თებერვლის დამატებით პოზიციაში კი განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მოპასუხემ ვერ წარმოადგინა განჭვრეტადი წესები, თუ რა წესის შესაბამისად შეიძლება პირი რეზერვის შემადგენლობიდან თანამდებობაზე გამწესდეს.

განმცხადებლის განმარტებით, 24 წლიანი სამუშაო გამოცდილების მიუხედავად, დიპლომატიურის სამსახურის რეზერვში ჩარიცხვიდან -კერძოდ, 2021 წლის 1 მარტიდან - დღემდე არცერთხელ შეუთავაზებიათ ვაკანტური თანამდებობა, იმის მიუხედავად რომ სამინისტროს არაერთი ვაკანტური თანამდებობა ჰქონდა.

ამასთანავე, განმცხადებლის პოზიციით, სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემები ზედაპირული და მანიპულაციურია, რადგან არ ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მოგვცემდა მონაცემების შესწავლისა და განმცხადებლის ფაქტობრივ გარემოებებთან შედარების შესაძლებლობას.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (კონსტიტუციის ახალი რედაქციით) წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული

პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.[18]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე. ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[19]

2.2. *კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლის სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს*

თავდაპირველად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისთვის ერთ-ერთ კრიტერიუმს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობაში ხელშეშლა წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 30-ე მუხლით *(ახალი რედაქციით 26-ე მუხლი)* დაცულია არა მხოლოდ უფლება აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.[20]

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის

---

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1

[19] ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom,* nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, § 60

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება, II, 19

უფლებას; მე-7 მუხლით კი გარანტირებულია თითოეული ადამიანის უფლება, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები.[21]

ევროპის სოციალური ქარტიის V ნაწილის თანახმად, ქარტიით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა დაცულია დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ჯანმრთელობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, დაბადების ან სხვაგვარი სტატუსის საფუძველზე.[22]

აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, *მათ შორის: წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე,* აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;[23]

განმცხადებელს აქვს უმაღლესი დიპლომატიური რანგი, კერძოდ, იგი იყო - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიაში. *დიპლომატიური თანამდებობის პირი* განიმარტება როგორც – *დიპლომატიურ სამსახურში დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან პროფესიული საჯარო მოხელე, რომელსაც მინიჭებული აქვს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა მიენიჭოს დიპლომატიური რანგი; ამასთანავე, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინიშნება უკონკურსოდ.*[24]

განმცხადებელს 2017 წლის 17 ივლისს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის უმაღლესი დიპლომატიური რანგი და იმავე წელს შეუდგა დანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შესრულებას. 2021 წლის 15 იანვარს კი საგარეო საქმეთა მინისტრის N01/2-2 ბრძანების შესაბამისად, სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოიწვიეს დიპლომატიური მისიიდან და 2021 წლის პირველი მარტიდან ჩარიცხეს დიპლომატიური სამსახურის რეზერვში. განმცხადებელის მიმართ სამინისტრომ არ გამოიყენა კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო მივლინების გაგრძელების დისკრეცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელს არ მიეცა სამუშაოს სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე უარის გამო. უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა დაკავშირებულია სამუშაოს ხელმისაწვდომობასა და მის განხორციელებასთან. აღნიშნულ უფლებაში ჩარევის

[21] საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1483577;

[22] ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებულის) და მისი დანართის თაობაზე, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N1876 დადგენილებით https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43174;

[23] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტი

[24] დამატებით იხ. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, მე-12, მე-18, 35-ე მუხლები

შესაძლო მიზეზს კი განმცხადებლის მიერ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა წარმოადგენს.

განხილვის შემდეგ ეტაპებზე, სახალხო დამცველი შესადარებელი პირების არსებობის საკითხს და უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანს შეაფასებს.

2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.[25] საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.[26]

განმცხადებელი 2017 წლიდან 2021 წლამდე დანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მუშაობდა. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი არახელსაყრელ პირობებში იმყოფება, ყველა იმ პირთან მიმართებით, ვისაც გაუგრძელდა სამუშაო მივლინების ვადა ან/და კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმება შესთავაზეს და არ გამოუხატავთ საჯაროდ მმართველი პარტიის პოზიციისგან განსხვავებული შეხედულება.

2.4. განსხვავებული აზრის გამოხატვა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

დისკრიმინაციის ფაქტის არსებობისთვის, აუცილებელია, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლი იყოს ისეთი ნიშნის მატარებელი, რის გამოც, მას განსხვავებულად ეპყრობიან. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად ვერ იქნება მიჩნეული, თუკი სავარაუდო მსხვერპლს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული მახასიათებელი არ აქვს.

ამდენად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა, რომ განმცხადებელი იყოს სხვა პირებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული კონკრეტული ნიშნის საფუძველზე. ეროვნულ დონეზე დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლები ასახულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის,

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19;
[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური **ან სხვა შეხედულების** ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, „პოლიტიკური **ან სხვა მოსაზრება“** პირდაპირ არის ჩამოთვლილი, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული საფუძველი.[27]

დისკრიმინაციის დაცულ ნიშანთან მიმართებით, დასტურდება, რომ 2020 წლის 7 ოქტომბერს განმცხადებელმა თავის ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა სტატუსი: *„სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ივერი მელაშვილს, რომელსაც პირადად ვიცნობ 1997 წლიდან და მიმაჩნია, რომ ის არის საკუთარი ქვეყნის, საქართველოს გამორჩეული პატრიოტი, ჩვენი სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის პროფესიონალი და შეუცვლელი ექსპერტი. წარდგენილი ბრალდება იმდენად აბსურდული და საღ აზრს მოკლებულია, რომ ამაზე კომენტარის გაკეთებაც მიჭირს. იმედს ვიტოვებ, რომ ეს დაწყებული გამოძიება ყველა არსებულ კითხვას ამომწურავ პასუხს გასცემს და სრულიად უდანაშაულო, თავის ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანი მალევე გათავისუფლდება“.* ამდენად, განსახილველი საქმის მიზნებისთვის, სხვა შეხედულება წარმოადგენს დისკრიმინაციისგან დაცულ საფუძველს. განმცხადებლის მიერ საჯაროდ გავრცელებული მოსაზრების განსხვავებულობას ისიც ადასტურებს, რომ მისი გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათ შორის, იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის - დავით ზალკალიანის, მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის - ირაკლი კობახიძის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის გიორგი ვოლსკის მხრიდან კრიტიკული შეფასებები მოჰყვა. მაგალითად, ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ „უხეშად დაირღვა დიპლომატიური საქმიანობის სტანდარტები“, დავით ზალკალიანის პოზიცია, რომ განმცხადებელმა ისე გამოხატა თავისი პოზიცია, რომ მას არ დაურეკა და განმცხადებელთან ექნებათ ამ საკითხზე საუბარი, ცალსახად მიანიშნებს, რომ განმცხადებლის მოსაზრება მათთვის არ არის მისაღები.

გადაწყვეტილების შემდგომ ეტაპზე, სახალხო დამცველი შეაფასებს უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს.

2.5. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.[28]

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა იმპერატიულად განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

[27] Handbook on European non-discrimination law 2018 edition, გვ. 222

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ განსხვავებულ მოპყრობას არ ჰქონია ადგილი ან გამართლებული იყო, გადადის მოპასუხეზე. „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ ნიშნავს, ***რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას.*** მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც წარმოადგენს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.

მოცემულ საქმეში, სახალხო დამცველს წარმოეშვა დისკრიმინაციის განხორციელების გონივრული ვარაუდი, რომელიც ვერ გააქარწყლა მოპასუხე მხარემ. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ის მსჯელობს მოპასუხის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით და იმ ფარგლებში, რომ შედარდეს განმცხადებლის მდგომარეობა ანალოგიურ ვითარებაში მყოფ პირებთან მიმართებით და შეფასდეს განმცხადებლის მიმართ გაუმართლებელ განსხვავებულ მოპყრობას ხომ არ ჰქონდა ადგილი.

მოპასუხის განმარტების თანახმად, ვადის გასვლის გამო განმცხადებელი გამოწვეულ იქნა როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან, ამდენად, განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნად სამუშაო მივლინების ვადის გასვლა დასახელდა. ხოლო იმასთან მიმართებით, თუ რატომ არ გაუგრძელდა განმცხადებელს დიპლომატიური მისია, მოპასუხე ლეგიტიმურ მიზანს ვერ ასახელებს.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასასმელია, რომ ვადის გასვლის გამო სამუშაო მივლინებიდან გამოწვევა მოპასუხეს არ ათავისუფლებს მტკიცების ტვირთისგან, რომ დისკრიმინაციული მოტივი არ ჰქონია.

მოცემულ საქმეში დისკრიმინაცია ორი მიმართულებით უნდა შემოწმდეს. პირველი უკავშირდება განმცხადებლისთვის სამუშაო მივლინების ვადის გაუგრძელებლობას, მეორე კი - რეზერვში ყოფნისას ალტერნატიულ პოზიციაზე დასაქმების შეუთავაზებლობას.

განმცხადებლისთვის სამუშაო მივლინების ვადის გაუგრძელებლობა

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია სამუშაო მივლინების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა და ამ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება საგარეო საქმეთა მინისტრს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით შეუძლია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება განმარტებულია, როგორც უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კანონმდებელმა აღნიშნული უფლებამოსილების მართლზომიერი გამოყენების საკითხი დაუკავშირა რამდენიმე წინაპირობას - საჯარო და კერძო ინტერესების დაცვა და კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მოცემული განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვას და ამასთანავე, აუცილებლად უნდა იყოს კანონშესაბამისი. ეს უკანასკნელი თავის თავში მოიაზრებს საქართველოს საკანონმდებლო ბადეში აღიარებული და განმტკიცებული უფლებების დაცვითა და პატივისცემით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც თანასწორობის პრინციპთან არ მოვა წინააღმდეგობაში. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება თავის თავში მოიაზრებს დისკრიმინაციული მოტივებისგან სრულიად თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებას.

სახალხო დამცველის განმარტებით, დისკრეციული უფლებამისილების განხორცილება თავისთავად არ გულისხმობს მის გამოყენებას დისკრიმინაციულად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფის შესაძლებლობას. სასამართლოს მოსაზრებით, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რათა ადგილი არ ჰქონოდა პროცედურულ დარღვევებს, კანონის ფარგლების გაცდენას, რასაც შესაძლოა შედეგად საკუთრების ხელყოფა, კანონიერების, სუბიექტის უფლებების დარღვევა მოყვეს.[29]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1980 წლის რეკომენდაცია, რომელიც დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესს შეეხება, განმარტავს, რომ მითითებული პრინციპები გამოიყენება იმ მიზნით, რომ დაცული იქნას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ამასთანავე, ხაზგასმულია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი და თავიდან უნდა იქნეს აცილებული დისკრიმინაცია.[30]

ცხადია, სამინისტროს კონკრეტული დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მიმართ არ აქვს კანონისმიერი ვალდებულება, დროში გაახანგრძლივოს მისიაში ყოფნის ვადა და ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოს დიპლომატიური მისიის ვადის გაგრძელება.

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე ბს-1655-1627(კ-11),11/04/2012

[30] Committee of Ministers, Recommendation № R (80), https://rm.coe.int/cmrec-80-2-concerning-the-exercise-of-discretionary-powers-by-administ/1680a43b39

აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტიდან, რომელიც აქცენტს საგარეო საქმეთა მინისტრის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეთანხმებაზე აკეთებს. თუმცა, მეორე მხრივ, საგულისხმოა ისიც, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება სრულებით არ გამორიცხავს დისკრიმინაციას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც დისკრიმინაციის მსხვერპლი წარმოადგენს იმგვარ წონად არგუმენტებს, რომელიც ობიექტური დამკვირვებლისთვის დისკრიმინაციის ფაქტს რეალურს ხდის.

საქმეში არსებული მასალებით იკვეთება, რომ 2021 წელს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოზიციაზე მყოფ 16 პირს გაუვიდა როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა, რომელთაგან 9 პირს გაუგრძელდა სამუშაო მივლინების ვადა. ძირითადი ტენდენციით და სამინისტროს პრაქტიკით, დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელებთან გრძელდება სამუშაო მივლინების ვადა და სამინისტრო იყენებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას.

ამასთანავე, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სამინისტროს განმარტება, რომ სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვეული 7 პირიდან, დამატებითი ვადა არ ჰქონდა გაგრძელებული 2 პირს, შესაბამისად, იკვეთება, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი 7 პირიდან, 5 პირს უკვე ჰქონდა დამატებითი ვადა გაგრძელებული და სამინისტრო მათ ვადას ხელახლა ვერ გაუგრძელებდა. ამდენად, საქმეში არსებული მასალები მიუთითებენ, რომ 2021 წელს 16 პირიდან, რომელთაც გაუვიდათ როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა, 2 პირი იყო, მათ შორის განმცხადებელი, რომელთაც არ შეხებიათ „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ 29-ე უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი გამონაკლისი.

სახალხო დამცველის შეფასებით, არგუმენტი, რომ სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოიწვიეს განმცხადებელი, არ აქარწყლებს დისკრიმინაციის არსებობის ვარაუდს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ გ. გ. პროფესიონალი კადრი იყო და საგარეო საქმეთა სამინისტრო შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციით იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელი სამუშაო მივლინებიდან მივლინების ვადის გასვლის გამო გამოიწვიეს. ამასთანავე, სამინისტრომ არ დაასაბუთა, თუ რატომ არ მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება განმცხადებელთან დიპლომატიური მისიის გაგრძელების თაობაზე. დამატებით, აღსანიშნავია, რომ 16-დან მხოლოდ 2 პირს არ გაუგრძელდა სამუშაო მივლინების ვადა, მაშინ როცა, ძირითადად, სამუშაო მივლინების ვადის გაგრძელების ტენდენცია შეინიშნებოდა. მსგავსი დამოკიდებულება კი თავისთავად წარმოშობს არათანასწორი მოპყრობის ეჭვს.

რეზერვში ყოფნისას ალტერნატიულ პოზიციაზე დასაქმების შეუთავაზებლობა

რაც შეეხება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში არსებული ვაკანსიების განმცხადებლისთვის შეუთავაზებლობას, აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან სამინისტროს

ჰქონდა ვაკანსიები და შესაბამისი პირებიც აინიშნებოდნენ სხვადასხვა პოზიციებზე. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში უკონკურსოდ დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობას, ამის მიუხედავად, სამინისტრო არ უარყოფს, რომ განმცხადებლის კანდიდატურა კონკრეტული პოზიციისთვის არც ერთ შემთხვევაში განუხილავს.

საგულისხმოა, ამ მიმართულებით სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები. რეზერვში ჩარიცხული 84 პირიდან, 12 უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირი იყო, რომელთაგან 5 პირს შესთავაზეს სხვა თანამდებობა სამინისტროს სისტემის მასშტაბით. ამდენად, იკვეთება, რომ 7 უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირს არ შეეთავაზა სხვა პოზიციაზე დასაქმება სამინისტროს, მათ შორის, არც განმცხადებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ 12-დან 7 პირში შესაძლოა მოიაზრებოდეს ისინი, რომლებსაც არ გაუგრძელდათ როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა; ან 5 პირი, რომელსაც სხვა თანამდებობა შეეთავაზა, შესაძლოა, იყვნენ ისინი, რომელთაც დამატებითი მივლინების ვადა ამოეწურათ და რეზერვში ჩაირიცხნენ; 12 უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირი ავტომატურად არ გულისხმობს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სტატუსს, მასში ასევე მოიაზრება მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე, სამინისტროს გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი, სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენელი, გენერალური კონსული, საგანგებო დავალებათა ელჩი, ევროჯასტში მეკავშირე პროკურორი.[31] შესაბამისად, დანამდვილებით იმის თქმა შეუძლებელია 12-დან 5 პირი, რომელსაც შეეთავაზათ სხვა თანამდებობა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია თუ სხვა სტატუსის მქონე პირი. სამინისტროს არ მოუწოდებია ინფორმაცია რა სამსახურეობრივი პოზიცია უკავიათ აღნიშნულ პირებს ან/და რომელ დიპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობენ ისინი. დაზუსტებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ განმცხადებელს არც სამუშაო მივლინების ვადა გაგრძელებია და არც რეზერვში ყოფნისას (13 თვის მანძილზე) შეუთავაზებიათ სამინისტროს სისტემის მასშტაბით სხვა პოზიციაზე დასაქმება.

განმცხადებლისთვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების შეუთავაზებლობა განსაკუთებით საეჭვოა იმის გათვალისწინებით, რომ დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ჩარიცხული 84 პირიდან თანამდებობაზე დაინიშნა 51 პირი. პირველ რანგზე დაინიშნა - 6 პირი. ამასთანავე, სამინისტრომ როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში გამოაცხადდა შიდა შერჩევა და ჯამში 69 პირთან მიმართებით დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ სამინისტროს ჰქონდა როგორც ვაკანსიები ასევე, აქტიურად ინიშნებოდნენ, პირები შესაბამის

[31] იხ. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ მე-12 მუხლი

პოზიციებზე როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე საზღვარგარეთ დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებებში, მათ შორის, პირველ რანგზეც.

სამინისტრომ თავად განმარტა, რომ გ. გ.-ის კვალიფიკაციის ტოლფას თანამდებობებზე, სხვა შესაბამის კანდიდატებთან ერთად მოხდება მისი კანდიდატურის განხილვა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისთვის შეთავაზება. ასევე, სამინისტრომ დაადასტურა 5 ქვეყანაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების განმწესება. საეჭვოა, რომ ამ განმარტებების და სამინისტროში არსებული ვაკანსიების (მათ შორის, პირველი რანგის) მიუხედავად, ამ დრომდე, არ განუხილავთ განმცხადებლის კანდიდატურა არც ერთ თანამდებობაზე.

რაც შეეხება მიზეზებს, რამაც განმცხადებლისთვის სამუშაო მივლინების გაგრძელებაზე უარი და რეზერვში ყოფნისას ვაკანსიის შეუთავაზებლობა განაპირობა, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის საქმეზე დაკავებული ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას საქმე საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული და ქართველ პოლიტიკოსებში აზრთა სხვადასხვაობას და პოლიტიკურ დაპირისპირებას იწვევდა.

უდავოა, რომ განმცხადებელმა 2020 წლის 7 ოქტომბერს სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებულ სტატუსში, დაკავებულ ივერი მელაშვილს მხარდაჭერა ღიად გამოუცხადა. საგულისხმოა, რომ დავით-გარეჯის გარშემო გამოძიების დაწყებამ საზოგადოებაში ვნებათაღელვა, ხოლო კონკრეტული პირების მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში პროტესტი გამოიწვია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ე.წ. კარტოგრაფების საქმეზე სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა, რომელშიც ორ ძირითად საკითხზე გაამახვილა ყურადღება: (1) შესაბამისობაშია თუ არა წარდგენილი ბრალდება კანონიერების კონსტიტუციურ პრინციპთან (სახეზე გვაქვს თუ არა დანაშაულის ობიექტური მხარე და ბოროტი განზრახვის ელემენტები) და (2) სახეზეა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა (პოლიტიკური ან სხვა ქვენა მოტივის არსებობა) სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას. აღნიშნული საქმის გამოძიების დაწყება საპარლამენტო არჩევნებს დაემთხვა, მთავარ განსახილველ წინასაარჩევნო პოლიტიკურ საკითხად იქცა და აგიტაციის მიზნებისთვისაც გამოიყენებოდა. დოკუმენტში მოხმობილია მმართველი პოლიტიკური პარტიის მაღალჩინოსნების, პოლიტიკური საბჭოსა და მთავრობის წევრების, პარლამენტარებისა და სხვების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გაკეთებული განცხადებები, რომლითაც მელაშვილისა და ილიჩოვას ბრალდებას პოლიტიკური პარტიების კრიტიკისთვის იყენებდნენ. სახალხო დამცველის შეფასებით, წინამდებარე საქმეს აშკარად გააჩნია პოლიტიკური ან სხვა მოტივი, რომელიც საქმეში არსებული ხარვეზების ფონზე, კანონიერ მოტივს გადაწონის. აღნიშნული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ევროკონვენციის მე-18 მუხლის დარღვევად

ფასდება;[32] განმცხადებლის მიერ გამოხატული პოზიცია ცალსახად მიანიშნებს, რომ ის მხარს ივერი მელაშვილს და მის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ წარმოებულ სისხლისამართლებრივ დევნას კრიტიკულად აფასებს. განმცხადებელი ერთადერთი ელჩი იყო, რომელმაც ივერი მელაშვილს საჯაროდ მხარდაჭერა გამოუცხადა.[33] ასევე უდავოა, რომ აღნიშნულ განცხადებას მოჰყვა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან[34], მათ შორის, იმდროინდელი საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის - დავით ზალკალიანის, მმართველი პარტიის „ქართული ოცნების" თავმჯდომარის - ირაკლი კობახიძის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის - გიორგი ვოლსკის კრიტიკული შეფასებები, რაც მიანიშნებს, რომ განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებული მოსაზრება მიუღებელი აღმოჩნდა მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის; აღნიშნულზე მიანიშნებს მაგალითად, ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ „უხეშად დაირღვა დიპლომატიური საქმიანობის სტანდარტები", დავით ზალკალიანის პოზიცია, რომ განმცხადებელმა ისე გამოხატა თავისი პოზიცია, რომ *მას არ დაურეკა და განმცხადებელთან ექნებათ ამ საკითხზე საუბარი.* სახალხო დამცველის შეფასებით, განმცხადებლის პოზიცია მმართველი პარტიის „ქართული ოცნების" პოზიციისგან ცალსახად საწინააღმდეგოა; მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან გავრცელებული განცხადებები კი ადასტურებს, რომ განმცხადებლის მოსაზრება მათთვის არ არის მისაღები. საგულისხმოა ისიც, რომ საქმის შესწავლის არცერთ ეტაპზე საგარეო საქმეთა სამინისტროს არ განუმარტავს, რომ გ. გ.-ს მიერ 2020 წლის 7 ოქტომბერს საჯაროდ გამოხატული მოსაზრება დიპლომატიურ სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

3. დასკვნა

როგორც აღინიშნა, საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, თავისთავად, არგუმენტი იმის თაობაზე, რომ გ. გ. სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული იქნა ვადის გასვლის გამო, არ აქარწყლებს დისკრიმინაციის არსებობის ვარაუდს. შესაბამისად, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა გამამართლებელი საფუძველი, რომელიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს გააქარწყლებდა. მეტიც, მოპასუხემ ლეგიტიმური მიზანი ვერ წარმოადგინა, თუ რატომ არ გაუგრძელა განმცხადებელს მივლინების ვადა. მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა და დროის პერიოდი სახალხო დამცველს არ აძლევს სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, გარდა იმისა, რომ გ. გ.-სთვის სამუშაო მივლინების ვადის გაგრძელებაზე უარი და რეზერვში ყოფნის პერიოდში, მისი გამოცდილების გათვალისწინებით, კონკრეტული ვაკანსიის შეუთავაზებლობა განპირობებული იყო მისი მიერ 2020 წლის 7 ოქტომბერს საჯაროდ გამოხატული მოსაზრების გამო. ამდენად, განმცხადებლისთვის მივლინების ვადის გაგრძელებაზე უარი, ასევე 13 თვის განმავლობაში კონკრეტულ ვაკანსიაზე მისი კანდიდატურის განუხილველობა დროში ემთხვევა მის საჯაროდ გამოხატულ კრიტიკულ პოზიციას. ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან დამაჯარებელი/სარწმუნო და დისკრიმინაციული მოპყრობის გამაქარწყლებელი

[32] დამატებით იხ. shorturl.at/kGZ59
[33] იხ. https://netgazeti.ge/news/526661/ https://formulanews.ge/News/47048
[34] იხ. პირველი სქოლიო

ინფორმაციის წარმოუდგენლობა კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნულ ეჭვს *და, რეალურად, ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გაქარწყლებას.* ამდენად, საქმის მასალების შეფასების შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლისთვის მივლინების ვადის გაგრძელებაზე უარი და ასევე მისთვის 2021 წლის 1 მარტიდან (რეზერვში ჩარიცხვის დღიდან) მისი კანდიდატურის კონკრეტულ ვაკანსიაზე განუხილველობა მის მიმართ განსხვავებული მოსაზრების გამო დისკრიმინაციული მოპყრობას წარმოადგენს.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს:

- განიხილოს განმცხადებელთან მისი კვალიფიკაციის ტოლფასი პოზიციის/პოზიციების შეთავაზება;
- მომავალში არ დაუშვას განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,